№ 149

წელიწადი I.

# სამშობლო

პარასკევი 7 აგვისტო 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ. თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერი. დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., ... 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე ... განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 6 აგვისტოდან ნაჩვენები იქნება:
სენსაცია! **ეკლის გვირგვინი** სეზონის თაიგული.
სენსაციური დრამა 4 ნაწ. ნათამ. ქენი პორტენის მონაწილეობით.
გომონის ქრონიკა 51/ბ. მიმდინარე ცხოვრებიდან.
**ორი მაკსი.** დიდი მხიარული კომედია 2 ნაწ., ცნობილი მაქს ლინდერის მონაწილეობის.
ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება „ვანიუშას ბავშები“. დრამა 4 ნაწილათ, მონჟუხინის მონაწილეობით.

განცხადება.
გ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით სადგურ მიხაილოვში (ხაშურში) დამდეგ სამოსწავლო წლის დასაწყისიდგან გაიხსნება სრულ-უფლებიანი
**საქალებო გიმნაზია.**
თხოვნები და ყველა საჭირო საბუთები—მოსამზადებელსა, I, II, III, IV და V კლასებში მისაბარებლათ მიიღება სავაჟო გიმნაზიის კანცელარიაში ს. მიხაილოვში, თფილისის გუბერნია. დღე გამოცდებისა გამოცხადებული იქნება. 2—1.

**მიხეილ მოშიაშვილი**
ამით საყოველთაოთ აცხადებს — ვინაიდან მიღებული გვაქვს
დიდ ძალი საქონელი
რუსეთში ცნობილი **პურის ფქვილი** სხვადასხვა ფირმების
საქონელზე ფასები დაუკლებით. მეოთხე №-რი, (ცალი) რომელიც იყიდებოდა ჩვენთან 13 მ.ნ. ამ ჟამად იყიდება 12 მ. 60 კ. სხვა ხარისხის ფქვილშიც დიდი განსხვავებაა ფასებში.
(ტომარაზე 40 კაპ.) ისარგებლეთ შემთხვევით. 3-2—

ქუთაისის ქალთა უფასო სკოლის გამგე მ. ი. ტიმჩენკო-რუბანისა ამით აცხადებს, რომ მოწაფე ქალთა გამოცდები დაიწყება 17 აგვისტოს 1915 წელს, რის გამოც სთხოვს მოწაფეებს დანიშნულ ვადაზე გამოცხადდენ.
3—2—უფ. მ. ი. ტიმჩენკო-რუბანისა.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი
ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს ფრანგულ ენას.
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 5—7 ს.

გაბრიელ იოსების ძე
**ექიმი გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

**ექიმი** გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6 —8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი
ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ექიმი** ი. ჩარექიშვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**კერძო ექიმი** მიხეილ კაშია
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**ბებია** მ. მ. ქოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოპოებული
**მ. ზ. კვინიხიძის**
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).
აცხადებს, რომ მისაღები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანბანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**თბილისი.** 6 აგვისტო. ოფიციალური. ოლთისის მხრით ჩვენმა მზვერავებმა ოსმალების სადარაჯო ადგილები მდ. ჭოროხზე დასწიეს.

პასინის ველზე ოსმალებმა მთელი დღის განმავლობაში არტილერიის ცეცხლი გააჩაღეს და საღამოს ტარხჯის პოზიციებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუ ვაგდებთ. ხოშმუგანის მთის მიდამოებში ოსმალების ყველა იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

**პეტროგრადი.** 4 აგვისტო, ოფიციალური. რიგის რაიონში და იაკობშტადის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. 2 და 3 აგვისტოს მტერმა სცადა წინ წამოწევა, მაგრამ უშედეგო გამოდგა. დვინის მიმართულებით გაფთრებული ბრძოლა გრძელდება. გერმანელთა ყველა იერიშები მოვიგერიეთ. კოვნოსთან ბრძოლამ მეტათ ცხარე ხასიათი მიიღო. 2—3 აგვ. მტერმა საგანგებოთ მომზადებული იერიში მოიტანა სხვადასხვა კალიბრის მძიმე არტილერიით, რომელშიაც 16 დიუმიანი ზარბაზნებიც ერია და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შტურმით აეღო ნემანის მარცხენა მხარეზე გაშენებული სიმაგრეები. 3 აგვისტოს, საღამოს მტერმა ხელთ იგდო ერთი სიმაგრე, აგრეთვე ის შეიჭრა დასავლეთის ფრონტის რამოდენიმე ფორტებს შუა. ბრძოლა გრძელდება, ზემო ნარევის მარცხენა ნაპირას ჩვენ მოვიგერიეთ გერმანელთა ცხარე იერიშები ბელოსტოკსა და ბელსკის ხაზზე, აგრეთვე მარჯვეთ შევაჩერეთ მტრის წინსვლა მდინარე ნურეცისა და ბუგს შუა. მტრის ზარალი დიდია. მდ. ბუგზე, დაბა იანოვის ზემოთ ხდებოდა მხოლოდ მზვერავ რაზმების შეტაკება. ვლოდავის რაიონში კი მტერი ცდილობს მდინარის მარჯვენა—მხარეზე გამაგრებას, ნოვ-გიორგიევსკის რაიონში გაფთრებული საარტილერიო ბრძოლაა. მტერმა აქ უდიდესი კალიბრის ზარბაზნები აამუშავა. 2 აგვისტოს და 3 აგვისტოს ღამით გერმანელებმა ცხარე იერიშები მოიტანეს მდ. ნარევსა და მდ. ვრიის მარცხენა ნაპირს შუა გაშენებულ სიმაგრეებზე. დანარჩენ ადგილებში ჩვენს საერთო ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

შავ ზღვაში ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ნახშირით დატვირთული თათრის გემი.

**თბილისი.** ოფიც. კავკასიის შტაბისაგან. ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთა ავიწროებდა რა ოსმალოებს ვანის ვილაეტში და ეფრატის ხეობაში, ივლისის დასაწყისში მიაღწია მელაზგერტ—ოხლატის ფრონტს, სადაც კოპ—კორმუნჯის ძლიერ პოზიციებზე დახვდათ ოსმალოთა მრავალ-რიცხვოვანი ჯარი, ამ რაიონში ოსმალოები ადრიდანვე შეეცადენ და, მართლაც, მოუყარეს თავი მრავალ რიცხოვან ჯარს თავის მარჯვენა ფრთაზე, ასე, რომ მათ თამამათ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა. ჩვენს ჯარს ნაბრძანები ჰქონდა გაერღვია მტერი. მოხდა რამდენიმე თავგანწირული ბრძოლა, რასაც შედეგათ მოყვა ძლიერი პოზიციების დაკავება ჩვენგან კოპრახპატის ფრონტზე. ოსმალოებმა საჩქაროთ დაიხიეს სამხრეთ დასავლეთისკენ და შეუერთდენ მაშველ ჯარს. სულ შესდგა 10 დივიზია მტრისა. ადგილ მდებარეობის განსაკუთრებული პირობის წყალობით ოსმალოები არა მარტო გამაგრდენ კურუდაკის ქიმზე, იერიშებიც კი მოიტანეს ჩვენი დასუსტებული ჯარის წინააღმდეგ. ამის გამო ჩვენი ჯარის ნაწილებს ებრძანათ შეუბრძოლებლათ უკან დაეხიათ და ამავე დროს შემზადებულიყვენ კონტრიერიშისათვის. 10 ივლისს ოსმალოებმა იერიშების მოტანა დაიწყეს.

22 ივლისს, ჩვენი მარცხენა ფრთის ნაწილებმა მიაღწიეს კარაკილისის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც დაიკავეს ახტინის ულელტეხილის სამხრეთით პოზიციები და დაუპირდაპირდენ ოსმალთა უმთავრეს ძალას. ნაწილი ჩვენი ჯარისა დარჩა დიადინის ქალაქების მიმართულებით ამგვარათ ჩვენმა ჯარმა დაასრულა რა შეჯგუფება და მოემზადა რა საკმარისათ, მტრის მოულოდნელათ ენერგიული იერიშები მიიტანა როგორც ახტინის ულელტეხილის ისე დიიარის მხრიდან და, მოექცა რა ოსმალოებს ზურგიდან, ყველგან უწესრიგოთ ფანტავდა და უკან ახევიებდა მათ.

**პარიზი.** 5 აგვისტოს კიტჩენერს, მილერანსა და ჟოფრს თათბირი ჰქონდათ, შესახებ საჩქარო გადასაწყვეტ კითხვებისა, რომელიც ორთავე არმიის ინტერესებს ეხება.

**ქრისტიანია.** ნორვეგიის საფოსტო გემის მააკონის დაჭერამ გერმანელებისაგან ბერგენის ახლო და საფოსტო ფულიან კორესპონდენციების წაღებამ დიდათ აალელვა ნორვეგიის მთავრობა, რომელმაც ბერლინში პროტესტი გამოაცხადა, და მოითხოვა მათ, დაბრუნება.

**სოფია.** 4 აგვისტო. ბულგარეთში მცხოვრები სომხები მიმართავენ ბულგარეთის ერს მოწოდებით, რომელშიაც ლაპარაკობენ სომხების აუწერელ ტანჯვას ოსმალებისაგან.

ოსმალებმა გადასწყვიტეს გასწყვიტონ სომხები თავიანთ სამშობლო მხარეში. ოსმალეთის მთავრობას აზრათა აქვს გაგზავნის კონსტანტინოპოლიდან 1000 სომეხი მცირე აზიაში, რის გამოც სომხის ოჯახობა ყოველ დღე ჩამოდის ბულგარეთში. მოწოდება ევედრება ბულგარეთის მთავრობას ჩაერიოს ამ საქმეში, რადგან ოსმალებს ყველაზე უფრო ბულგარეთის გამოსვლის ეშინია მის წინააღმდეგ. მხოლოდ ბულგარეთის პროტესტს შეუძლია შეაჩეროს სომხების დევნა. დღეს სომხებმა მოაწყვეს სამგლოვიარო მანიფესტაცია, ყველა სომხის მაღაზია სოფიაში დახურულია.

**ტამბოვი.** 6 აგვისტო. ტამბოვის გუბერნიაში 100,000 გამოქცეული ჩამოვიდა, შედგა განსაკუთრებული კომიტეტი მათ დასახმარებლათ.

**პეტროგრადი.** შულტოუფიულმამალეკის თავმჯდომარეობით შედგენილი კაბინეტი შაჰიმ დაამტკიცა.

**პარიზი.** 5 აგვისტო ოფიციალური. ღამე შედარებით მშვიდი იყო არტილერიის ბრძოლა სწარმოებდა მხოლოდ სექტარში ჩრდილოეთით არასიდან სომასა და უაზის შუა. რუა და ლასინის მიდამოში ბრძოლა ხელით სასროლ. ყუმბარებზე გადავიდა. ორი სასტიკი კონტრიერიში გერმანელებისაგან ღამით მოტანილი ჩვენს პოზიციებზე ზონცერნის მაღლობზე ჩვენ მოვიგერიეთ და დავატყვევეთ 50 კაცი.

### პეტროგრადის სააგენტოდან.

### უმაღლესი მთავარ სარდლის მტრიდან

**პეტროგრადი.** 8 აგვისტ. ოფიციალური. ჩვენმა გემებმა, რომელნიც რიგის ყურეს იცავდენ, მრავალ რიცხოვან მტრის გემთან ბრძოლის შემდეგ პოზიციებისკენ დაიხია.

კოვნოში მტერი ენერგიულათ წინ მოიწევს მან დაიჭირა ქალაქი და ნემანისა და ვისლის ყელი.

ოსოვეცთან 5 აგვისტოს, ღამით, და მთელი მეორე დღის განმავლობაში გერმანელებს იერიში მოჰქონდათ ჩვენ პოზიციებზე. რომელიც გავრცელდა ოსოკეციდან ბრესტამდე და ზოგიერთ უბანში ბრძოლა სასტიკ ხასიათს ღებულობდა. განსაკუთრებული იერიში მოჰქონდა მტერს ჩვენს ჯარზე ბობრის ქვემოთ ბელსისაკენ ჩერენკა-ვლოდოვას რკინის გზაზე. ნოვოგეორგიევსკთან მტერს ძლიერი იერიში მოაქვს ვისლა ნარევის მარჯვენა ნაპირის სიმაგრეებზე, ბრძოლას უკიდურესი სასტიკი ხასიათი აქვს. გერმანელების მთელი გროვა გვამებით მოფენილია ჩვენი მავთულები მიუხედავათ ამისა, მტრის არტილერიამ მაინც მოასწრო ჩვენი სიმაგრეების დანგრევა ვკრო და ნარევის უბნებში, რომლის შემდეგაც ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა გაწეულიყო ვკირის აარჯვენა ნაპირისკენ ამ შემთხვევამ ხელი შეუწყოს გერმანელებს გაეძლიერებინა თავისი ძალა ვკრო ვისლის ჩრდილოეთით.

**პეტროგრადი.** ხელმწიფე იმპერატორმა გაუგზავნა კავკასიის არმიის მთავარ სარდალს: დეპეშა შემდეგი შინაარსის:

გადაეცით ჩემი მხურვალე მადლობა კავკასიის არმიის გმირ ჯარს მათ სამაგალითო სამხედრო სამსახურისათვის. ვაჯილდოვებ გენერალ იუდენიჩს წმ. გიორგის ორდენით მესამე ხარისხისა.

**პეტროგრადი.** 3 აგვისტო. ოფიც. რიგის მხრით ჩვენმა ჯარმა მტერი მდ. ააზე გადაყარა და მრავალი დაატყვევა. ამ მიდამოებში, ჩვენი იერიში მარჯვეთ ვითარდება. აქ ჩვენ რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ. გერმანელები კოვნოს მოწინავე პოზიციებს კვლავ ყუმბარებს ესვრიან.

ჩვენი ჯარის წინსვლა ნემანის მარცხენა ნაპირზე მტრის ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც კოვნოს მხრით მოქმედობს ხელსაყრელათ ვითარდება ჩვენ წამოვ-ყვანეთ ტყვეთ 200 ჯ. კაცი და ორი ოფიცერი.

**პეტროგრადი.** უმაღლესი მ.ავარ სარდლის შტაბიდან. 5 ივლისი ოფიციალური. რიგის მიდამოში და იაკობშტადის მხრით ცვლილება არ მომხდარა.

მტრის გემის ცდა, ჩვენი ნაღმიანი ღობეების გაწყვეტის შესახებ რიგის ყურეში, ჩვენმა გემებმა მოიგერიეს. 11 დღის ბრძოლის შემდეგ კოვნასთან მტერმა შესძლო ჩვენი სიმაგრეების ალება ნემანის მარცხენა ნაპირზე. მდინარე ერის დასავლეთით გერმანელები ცდილობენ მარჯვენა ნაპირზე გამოსვლას, სადაც ერთი ნაწილი სიმაგრეებისა ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია.

**პეტროგრადი.** 6 აგვისტო, ზაპოდნაია ბუგის მიდამოში მტრის როტა თავისი ტყვიის ფრქვეველებით ენევიჩთან გადმოვიდა, მაგრამ ჩვენმა მოწინავე ნაწილმა ის უკუ აგდო.

ვლოდავის მხრით ჩვენი წინსვლა, მიუხედავათ მტრის წინააღმდეგობისა, კარგათ გრძელდებოდა. 8 საათზე საღამოს მტერმა ძლიერი იერიში მიიტანა და ჩვენ გავიწიეთ სოფ. ორხოვოდან. ჩვენი მაშველი ჯარის წყალობით მტერი თავისივე თხრილებში გადავყარეთ და ხელახლა დავიჭირეთ ს. ორხოვა.

**ათინა.** 5 აგვისტო. მეფემ მიანდო ვენიზელოს ახალი კაბინეტის შედგენა, რომელმაც საპასუხოთ 4 დღე სთხოვა მდგომარეობის გასაცნობათ. მეფე დასთანხმდა.

სექტორში და ქრისტიაში სასტიკი ბრძოლაა. იუწყებიან, რომ მოკავშირეებმა შესძლეს გალიპოლის ნახევარ კუნძულის შემოვლა.

**ლონდონი.** 4 აგვისტო გექვდითი სიტყვის ტრანსპორტი „როიალ ედუარდი“ შაბათ საღამოს ჩაიძირა ეგეთის ზღვაში. ტრანსპორტში იყო 32-რი ოფიცერი 1360 დაბალი ხარისხის მოსამსახურე: 220 მეზღვაური და ოფიცრები. გადარჩენილია 600 კაცი დაწვრილებითი ცნობა ჯერ არ მიუღიათ.

**პეტროგრადი.** 5 აგვისტო მემკვიდრე ცესარევიჩი ინიშნება შეფათ ნოვოჩერკარსის ყაზახის სასწავლებლისა.

**პარიზი.** 6 აგვისტო. ოფიციალური 5 აგვისტოს ღამის 11 საათზე არტუა შამპანში აპრემონის ტყეში ლივერში ვოფერსა და ლეპრეტის ტყეში, კურადეშარმის მიდამოში და აგრეთვე ლაზ;ილის ფრონტზე ძლიერი არტილერიის ბრძოლაა, ვოგეზებში მტრისგან წართმეული პოზიციები ზონდერნახის მაღლობზე შევინარჩუნეთ, მიუხედავათ სასტიკი იერიშისა.

**რომი.** 6 აგვისტო. 5 აგვისტოს საზღვაო შტაბის უფროსი იუწყება, რომ გუშინ დილით ავსტრიელების 20 გემმა ჰაეროპლანების თანახლებით იერიში მიიტანა კუწძულ პოლაგოზე ჩვენმა გარნიზონმა გამაგრება შესძლო, მტერი გაბრუნდა ჩვენ მოგვიკლეს 4 კაცი მათ შორის, ერთი ოფიცერი, დაგვიჭრეს სამი. ტიროლტრენტინის საზღვარზე ჩვენი არტილერია ენერგიულათ იბრძოდა. ბახურის ველზე 4 აგვისტოს ჩვენ დავიჭირეთ მტრის თხრილების მეორე ხაზი ტყვეთ წამოვიყვანეთ 2 ოფიცერი და 40 ჯარის კაცი. მრავალი თოფი და ტყვიები ხელთ ვიგდეთ სეკტორისა და მონტანეროში ჩვენი ერთი რაზმი შეიჭრა მთაში აივოშეკუსაკენ და სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერი უკუ აგდო. და დავიჭირეთ მისი თხრილები.

ბრწყინვალე გამარჯვება გვქონდა აგრეთვე კარსოში. აქ მტერმა ჩვენი ცენტრისაკენ წაიწია მტერი შევაჩერეთ, რის შემდეგაც ჩვენმა ქვეითა ჯარმა დაიჭირა მარკოტინის დასავლეთით დიდმნიშვნელოვანი პოზიცია.

**ლონდონი.** 5 აგვისტო. რუმინიის ელჩმა ითათბირა გრეესთან, რის შემდეგ გრეიმ ასკვიტი ინახულა.

**ჟიტომირი.** კოველიდან გამოქცეულები იუწყებიან, რომ ს დკურზე მტრის ჰაეროპლანები დაფრინავს.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

მისოლდოვის თანამონაწილენი ოტო რიგერტი, დავით ფრეიდბერგი, რობერტ ფალკი, მატეუში და მიკულისი სიკვდილით დასაჯეს.

ბარონი გრტგუსი უვადო კატორგით, ოტონ ფრეინატი 8 წლ. კატორგით და მისოდოვის ცოლი სამუდამოთ გადასახლებით.

**მაქსიმ საქსიმეეს ძე კავალევსკი ბულგარელებს შემდეგი რჩევით მიმართავს:**

„ბულგარეთზეა დამოკიდებული ეხლა ბალკანეთის თავისუფლება და შეიძლება მთელი მსოფლიოსიც. დროა მოიგონონ ის, თუ რა გააკეთეს რუსებმა მათ დამოუკიდებულობისათვის. ამ ქვეყნის მთავრობას შეუძლია დაარღვიოს ნეიტრალიტეტი, გერმანელებისა და ავსტრიელების სასარგებლოთ. მიაწოდოს ოსმალეთს ბულგარეთიდან გატანილი თოფები და სხვა სამხარი საჭურველი, მაგრამ მისი განხორციელება, რომ ბულგარეთის ჯარის კაცმა თავისი ხიშტი რუსებს მოუბრუნოს, ეს კი არავის არ ძალუძს. მაგრამ შეიძლება განა რუსეთი დაკმაყოფილდეს მარტო ერთი ბულგარეთის გარეგნულ ნეიტრალიტეტით? შეგვიძლია განა შეურაცხყოფათ არ მივიღოთ, როცა ჩვენ წინადადებაზე,—დაუბრუნდენ 29 თებერვლის ხელშეკრულობას, გვიპასუხებენ:

მოითმინეთ, ჯერ ჩვენ დავასრულებთ ჩვენს მოლაპარაკებას ოსმალეთთანო“.

როგორი აღშფოთება უნდა გამოიწვიოს მოკავშირეებში ასეთმა პასუხმა, როცა ბულგარეთს ომის შემდეგ პირდებიან მაკედონიის ნაწილს და ისინი ასეთს, ეხლავე მოითხოვენ? ნუ თუ სიტყვა მიცემული საფრანგეთისგან, რუსეთისა და ინგლისისაგან ვისმეს გულში რაიმე ეჭვს გამოიწვევს? ნუ თუ ყველასათვის ცხადი არ არის ასეთი მოთხოვნილების შეუძლებლობა ახლა, როცა სერბიის ჯარის ნაწილი მაკედონიელებისაგან შესდგება. არაფერი ისე საშიშარი არ ყოფილა ბულგარეთისათვის და არც არის, როგორც ისეთი შეთანხმების წინააღმდეგობის უარის ყოფა. „ბ. ე.“.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ქ. წ. კ. გამ. საზ. განყ. მთავარი გამგეობისაგან განკარგულება მოუვიდა, რომ დღეიდგან მან თავის სამკითხველოებს გამოუწეროს ყველა პერიოდული ჟურნალგაზეთები, განურჩევლათ მიმართულებისა მთავარმა გამგეობამ ასეთი დადგენილება თავის ყველა განყოფილებას აცნობა.

✦ მოსკოვის გუბერნიის სიფხიზლის საზოგადოების ლეკტორი ბ—ნი ვ. ო. ურუშაძე მოკლე ხანში ქუთაისში წაიკითხავს ლექციას ერობის შესახებ შემდეგ თემაზე: 1) მოკლე ისტორია საერობო დაწესებულებათა 2) ერობის ბიუჯეტი, 3) საერო მოღვაწენი: ექიმები, ვექილები აგრონომები და სხ. 4) სამკურნალო-სასანიტიო მოღვაწეობა ერობისა 5) ეკონომიური მოღვაწეობა ერობისა 6) საერობო რეფორმა 7) დასკვნა. ამ ლექციას ბ. ურუშაძე პირველათ ქ. ოზურგეთში წაიკითხავს.

✦ 5 აგვისტოს სოფ. ბანძაში (ქუთაისის მაზრა) პორომთან მივიდა მგზავრი თემურაზ კუხალეიშვილი რომელმაც პორომთან დაინახა სამი შეიარაღებული კაცი. კუხილეიშვილს ესენი მეპრომე გონებია და გაულვიძებია. უცნობებს გამოღვიძებისთანავე კუხალეიშვილისათვის ფული მოუთხოვიათ. უცნობებს იარაღით კუხალეიშვილი დაუჭრიათ და თუ რამე ჰქონდა საწყალ მგზავრს ყველაფერი წაუღიათ. ბოროტმოქმედების აღმოსაჩენათ ზომებია მიღებული.

✦ ჯარში გაწვეულთა დამხმარე ქალაქის კომიტეტი ამ ჟამათ სათადარიგო ჯარში გაწვეულთა ოჯახების წევრებს ფულს ურიგებს. კომიტეტს დასარიგებლათ გადადებული აქვს სულ 4000 მანეთი. ქალაქის კომტეტი ფულს ამ ჟამათ მეორეთ არიგებს.

✦ 6 აგვისტოს, დილის, 11 საათზე, ქალაქის თეატრის დარბაზში მოხდა მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ წევრთ-საზოგადო კრება. კრებაზე გამგეობამ წაიკითხა თავის მოხსენება დამფუძნებლთაგან ანგარიშების ჩაბარებისა და თავიანთი წარმოებისა როგორც კრებაზე გამოირკვა, ქუთაისის საზოგადოება ამ საზოგადოებს ძლიერ გულგრილათ ეკიდება და თავის გასამართლებულ საბუთად ხმარობენ იმას, რომ დღემდის ეგ საზოგადოების საქმე უკან მიდიოდაო. დასასრულ კრებამ აირჩია ქუთაისის ყოველი უბნიდან რამდენიმე კაცი, რათა მათ იხმარონ ყოველივე ღონისძიება წევრების შესაძენათ ფურნის გახსნის შესახებ დაადგინეს: გახსნან იმ დროს, როცა საკმათ თანხას შეიძენენ ფურნეს თავის განყოფილებები უნდა ექნეს ყველა მთავარ უბანში არა ნაკლებ ხუთისა. მთავარი ფურნე გახსნილი იქნება გენერლის ქუჩაზე, სადაც პური განყოფილებებში გადაზიდული იქნება ტაჩკების საშუალებით. ტაჩკას საზოგადოებას ქალაქის გამგეობა უთმობს.

✦ 6 ივლისს, დილის 10 საათზე, მდინარე წყალწითელაში ხიდის ქვეშ ბანაობის დროს დაიხრჩო 15 წლ. ახალგაზდა არტემ ათანასის ძე ბოჭორიშვილი. გვამი მდინარიდან ჯარის კაცმა ამოიღო.

— ამავე დღეს ქუთაისში თვითმკვლელობის მიზნით მოულოდნელად საწამლავი დალია ნადეჟდა ივ. ასულმა მიგინეიშვილმა მას დროზე მიუსწრეს და სამედიცინო დასახმარებლათ ქალაქის საავათმყოფოში გაგზავნეს. მიზეზი თვითმკვლელობისა გამოურკვეველია.

— მოიჯარადრე ქუთათელაძე ქალაქისათვის შეშის დამზადებას სადორიის აგარაკზე უკვე შეუდგა.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭო სთხოვს სამრეწველო საბჭოს აცნობოს მათი სამრეწველო დაწესებულებათა მუშების რიცხვი, რათა საბჭოს შეძლება ექნეს სამხედრო—სამრეწველო ცენტრალურ კომიტეტს მიაწოდოს იმ მუშათა სია, რომელთა დროებით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება საჭიროა.

✦ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დადგენილებით მომავალი სამოსწავლო წლიდან გაუქმებული იქნება ჭიათურის უმაღლესი პირველდაწყებით სასწავლებელთან არსებული სამთო ტეხნიკური განყოფილება.

✦ ორშაბათს, 3 აგვისტოს, პირველი სხდომა ქონდა ახლად არჩეულ საზოგადოების „სინათლის“ გამგეობას. გამგეობამ თავის ხაზინადრათ აირჩია გამგეობის წევრი ა. მ. ლორთქიფანიძე, მდივნათ—პ. ყიფიანი. გამგეობის წევრთ:—ს. ხუნდაძეს, ი. ოცხელს, მ. ვარდოსანიძისას და ო. იოსელიანის ასულთ დაევალათ, რაც შეიძლება მოკლე დროში შეიმუშაონ დასაარსებლათ განზრახული ქალთა საშუალო სასწავლებლის სამასწავლებლო გეგმა და წარუდგინონ გამგეობას სათანადო მთავრობასთან წარსადგენათ და დასამტკიცებლათ. გამგეობის წევრს მიმა ს. ლეკვეიშვილს მიენდო გამოსძებნოს ქალაქის ცენტრალურ უბანში ბინა განზრახული ქალთა საშუალო სასწავლებლისათვის, ხოლო იმ ანგარიშით, რომ შენობაში მოთავსდეს არა ნაკლებ 5 კლასისა. გამგეობის წევრს ბ-ნ ხაზინადარს ა. მ. ლორთქიფანიძეს მიენდო წარუდგინოს გამგეობას თავისი მოსაზრებანი საზოგადოების ნივთიერ საშუალებათა გაძლიერების შესახებ.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ჟ. ნევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს უარი უთხრა ნივთიერ დახმარებაზე.

✦ მომავალი სამოსწავლო წლიდან ჭიათურის პირველ-დაწყებით უმაღლეს ტიპის სასწავლებელში თავისუფალია ერთი მასწავლებლის ადგილი.

✦ სამხედრო-სამრეწველო ცენტრალური კომიტეტისაგან შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ წინადადება მიიღო, რომ იგი კასრულობს სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებებში მუშათა საჭირო რაოდენობის შეკრებას. ამ ჟამათ შავი-ქვის საბჭომ წინადადებით მიმართა ჭიათურის სხვადასხვა სამრეწველო ფირმებს, რათა მათ აცნობონ საბჭოს, თუ რომელი სამრეწველო დაწესებულებისთვის რამდენი მუშა ხელია საჭირო. თუ აღმოჩნდა, რომ რომელიმე დაწესებულებისათვის კი არის საჭირო მუშა ხელი, მაშინ იგი თანახმად სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წინადადებისა პრი-

. . . . . .

## რუსული ენა სახალხო სკოლებში.

მას აქეთ, რაც უ. ლევიტსკის ნეტარხსენებული მეთოდი არქივს ჩაბარდა, ჩვენი სკოლების უმრავლესობამ ხელი მიჰყო გოგებაშვილის Русское слово“-ს და ხელი-ხელ საგოგმანებლად გახადა იგი. ეს მოვლენა საკვირველიც არ არის, რადგანაც მუნჯურად სწავლება უხერხული გამოდგა მასწავლებლებისთვის და „Русское слово“-მ, როგორც სიცოცხლისაკენ მომწოდებელმა სახელმძღვანელომ, მაგრად გაიდგა ფესვები ქართულს სკოლებში. მართალია, მოიპოებოდენ ისეთებიც, რომელნიც, . . . .

. . . . . .

მთელი ძალ-ღონით სცდილობდენ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს განდევნას, მაგრამ ეს მახინჯთა ლაშქარი ძალიან სუსტი გამოდგა და ვფიქრობდით, რომ ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრილია მათი სახსენებელი. მაგრამ გარემოებამ სხვა რიგად შემოატრიალა საქმე. ქუთაისის გუბერნიას დაუნიშნეს დირექტორად ბ. კრუპსკი, რომელსაც გვერდში ამოუდგენ დევ-გმირი ინსპექტორები გროზდოვი და გასპარიანცი. შუაში კრუპსკი, ქუთაისში (პირველ რაიონში) გროზდოვი და ბათუმში გასპარიანცი შეეცადენ „Русское слово“—ს განდევნას და დიდი პატივითაც ეპყრობოდენ იმ ქართველს მასწავლებლებს, რომლებიც მათს ანტი-პედაგოგიურს საქციელს სკოლებში ადგილს აძლევდენ. უეცრად დატრიალდა ალიაქოთი. ერთსა და იმავე სასწავლებელში, ნაცვლად ძმური განწყობილებისა, იფეთქა უთანხმოებამ, გაჩაღდა ენატანიაობა და ბევრი გულწრფელი მუშაკი განდევნეს სკოლებიდან. ბოლოს, ჩვენდა საბედნიეროდ, სრული დამარცხება ხვდათ წილად გადამგვარებელი პოლიტიკის მწარმოებლებს და კვლავ სალმა პედაგოგიამ დაიჭირა მისი ადგილი. კბილ-თეთრა, გულ-ღვარძლიანი მასწავლებლები თითქმის მოთოკვეს და სწავლის ნორმალურს კალაპოტში ჩაყენებას შეუდგენ.

ჩვენ ვიცით, რომ ერთი დაკვრით ყველაფერი არ გაკეთდება და ერთბაშად საქმის მოწესრიგება შეუძლებელია. რომ სწავლა-აღზრდამ მიაღწიოს თავისი განვითარების უმაღლეს წერტილამდე, ამისთვის საჭიროა სულ სხვანაირი პირობები, ვიდრე დღეს ჩვენა გვაქვს. ამიტომ ყველა ამა თუ იმ მეთოდის დამცველი, ან რომელიმე სახელმძღვანელოს შემადგენელი, ან გამრჩევი ყოველთვის ანგარიშს უნდა უწევდეს ცხოვრების მიმდინარეობას და მასთან შეფარდებულად მოქმედებდეს. დღეს განყენებული მსჯელობა და იმის მოთხოვა, რასაც ვერ მოვიპოვებთ, დონკიხოტობა იქნებოდა და ამიტომ რომელიმე საგნის სწავლება ისე უნდა მოეწყოს, როგორც ეს დღეისთვის მიუცილებელია, შემდეგ—კი თვითდრო მოგვცემს საშვალებას უფრო გარკვეულ და დაგულადათ მოვითხოვთ ის, რაც გვეკუთვნის. ვიმეორებ, ყოველივე იმის აღსრულება, რასაც სალი პედაგოგია გვიყენებს, ამჟამად შეუძლებელია და ამიტომ რომელიმე საგნის სწავლების მოწესრიგების დროს თანამედროვე სინამდვილისგან ერთი ნაბიჯიც არ უნდა გადავუხვიოთ, თუ ჩვენ გვინდა, რომ ნათქვამს ჯეროვანი ნაყოფი გამოვადებინოთ. აქ იმის მტკიცება, თუ რომელი საგანია საჭირო ჩვენს სკოლაში, მე არ გამოვუდგები; სალაპარაკო საგნად მე ამ ჟამად ეს არ ამირჩევია. ამ წერილის მიზანია რამოდენიმედ ნათელ ჰყოს მნიშვნელობა რუსული ენისა ქართველების დღევანდელს ცხოვრებაში, დაამშვიდოს სუსტ—ნერვებიანი, მტირალა პატრიოტები და, თუ სავსებით არა, ცოტათი მაინც დაუხატოს თვალ წინ ქართველ მასწავლებლობას იმ მასალის რაოდენობა, რომლის გავლაც შეიძლება ამ საგანში ჩვენს სახალხო სკოლაში.

ას წელზე მეტია, რაც საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი შეიქნა. ას წელზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა უცხო კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფება. ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხის ცხოვრებამ მრავალი გადასხვაფერება გამოიარა, ამ ასი წლის განმავლობაში ბევრმა გრიგალმა გადაიარა ჩვენი სამშობლოს თავზე, მაგრამ დედა ენა—ეს ბურჯი ეროვნებისა, დედა-ენა—ეს ბასრი იარაღი აზროვნებისა, თუმცა ნელა, მაინც ვითარდებოდა და ეხლა თამამად შეგვიძლია—ვსთქვათ, რომ ჩვენც არ დაგვიკარგავს ეროვნული ელფერი და, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება და მწვავდება კითხვა ჩვენს სკოლებში სამშობლო ენის წესიერად წარმოებისა და ყველა საგნის მისდამი დამორჩილების შესახებ. მართალია, განვლილმა დრომ ბევრი მახინჯი წარმოშვა, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ლაპარაკიც ზედმეტია მათს შესახებ; მართალია, დღეს ჩვენში გადამახინჯების პოლიტიკის მწარმოებელთა ჯგუფი არსებობს, მაგრამ მათი მოქმედება მომაკვდავის ხრიალს უფრო ჰგავს, მინამ, ჯან ღონით სავსე, სიცოცხლის კუკურს. მართალია, ქართული ქალაქების ქუჩებზე ჩვენს სმენას რყვნის ღომხალივით ენათა არევ-დარევა, მაგრამ დადგება დრო და იქაც სინათლე ფეხს მოიკიდებს. მართალია, დედა-ენის აბუჩად აგდებამ და სახელმწიფო ენის მოუწესრიგებლობამ წარმოშვა მთელი რიგი მახინჯებისა, რომლებიც მაზარალებელი არიან, როგორც საქართველოსი, ისე რუსეთის სახელმწიფოსთვისაც, რადგანაც უგუნურთა ბრბო არც ერთისა და არც მეორესთვის ხელსაყრელი არ არის, მაგრამ მათი გავლენა დღითი-დღე სუსტდება. ამ მოვლენას თანამედროვე ხანაში ანგარიშს უწევს ყველა ცოტად თუ ბევრად პროგრესიული ადამიანი და ბნელეთის ძალებს მომწიფებული საკითხების დაჩრდილვის ძალა აღარ შესწევსთ. დიახ, ჩვენშიაც ბევრია კაცი-ჭამია ერთეულები, მაგრამ, სადაც სიცოცხლე იერიშს მიიტანს, იქ გარემოებანი იცვლებიან ხოლმე და აქაც ასე უნდა მოხდეს. ეს ასეა, მაგრამ ზოგიერთები ამას ვერ ხედვენ და პოლიტიკანობას დიდს ძალას ანდომებენ. . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

რუსული კულტურის, ენისა და ჩვეულებათა შეთვისება უცხო ერებისკან სასურველი არ არის რუსებისათვის, მაგრამ საქმე ის არის და მით უფრო დიდს დანაშაულს იდენენ სახელმწიფოს წინაშე პოლიტიკანი მოხელეები, რომ გადაგვარება რომელიმე ერის ნაძალადევად არ შეიძლება. ის, რაც გაუკებარია, რაც სულთან დაშორებულია და ძალით მიტმასნილია არასოდეს არ იქნება მჭრელი იარაღი ასიმილიაციისთვის. თუ პიროვნებას აკეთებინებთ ძალით იმას, რაც მისს სუბიექტიურ გულის თქმას ეწინააღმდეგება, თქვენი მოქმედება ყოველთვის კრახით დამთავრდება. ერის გადაკეთება მაგიდის ფიცრის გაშენდა ხომ არ არის, რომ გარედან, ხელოვნურად შესაძლებელი იყოს რომ რომელიმე კულტურამ გავლენა იქონიოს უცხო კულტურაზე; ამისთვის საჭიროა გადასაგვარებელი ერის სულიერ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენა, რაც მხოლოდ სიყვარულით შეიძლება და არა სიმძულვარით. სიყვარულს იწვევს ნებაყოფლობა და არა ძალადობა, რის შედეგიც ყოველთვის სიმძულვარეა და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩვენს სკოლებს ძალით აჩეჩებენ მას, რაც საჭირო არ არის, გამოდის, რომ ზოგიერთი მოხელეები სახელმწიფოში ნაციონალური კითხვების გამწვავებას ხელს უწყობენ და მით დათვურს სამსახურს უწევენ მას. როგორც დავინახეთ, ერის გადაგვარება ადვილი საქმე არ არის და მით უმეტეს

ვისლიანის, პრიმალტიის,* პოლონეთისა გალიციიდან გარდმოხვეწილებითა, და სამხედრო ტყვეებით შეივსება.

✦ გუშინ, 7 აგვისტოს დაიწყო 1896 წლის დაბადებულთა სამხედრო სამსახურში გაწვევა.

— ქუთაისში დაბრუნდა ქუთაისის გუბერნატორი პოტულოვი, რომელიც რაჭა-ლეჩხუმს იყო გამგზავრებული წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა გაჭირვების ადგილობრივ გამოსარკვევათ.

— მომავალი სამოსწავლო წლის დასაწყისიდან ჭიათურის ქალთა უმდლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელში გაიხსნება მეოთხე კლასი.

— ელისაბედ ხოჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება 17 აგვისტოდან.

✦ ქუთაისის საგუბერნიო სამართველო, თანახმათ მეფის მოადგილის კანცელარიის მოთხოვნილებისა, სთხოვს ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს მას ასლი ქალაქის საბჭოს იმ კრების ანგარიშისა, რომელზედაც გაირჩა, თხოვნა ამიერ კავკასიის რკინის გზათა სამართველოსი, შესახებ იმისა, რომ ქალაქს ქუთაისსა და რიონის სადგურს შუა გადაედო 86 დესეტინა და 783 კვად. საჟენი მიწა ამიერ კავკასიის რკინის გზის საჭიროებისათვის გიდროტეხნიკური სადგურის ასაგებათ. როგორც ვიცით, ქალაქმა რკინის გზის სამართველოს ამ თხოვნაზე უარით უპასუხა.

✦ მწვანე ყვავილის მცხოვრებლებთა მოწინავე ჯგუფმა დაადგინა მიმართოს წ. კითხ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობას, რათა იშუამდგომლონ გ. გუბერნატორის წინაშე მწვანე ყვავილაში სამკითხველოს გახსნის შესახებ.

✦ ქუთაისის საშუალო სასწავლებლების დირექტორებს მოუვიდათ სახალხო განათლების მინისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც იმ მოწაფეებს, რომლებიც სასწავლებლის კურსს ასრულებდენ და წერით გამოცდებში ცუდი ნიშნები მიიღეს, ეძლევათ ნება აგვისტოს გასულს ხელახალი გამოცდები ჩააბარონ. ამ მოწაფეებმა თხოვნები და ყოველივე დოკუმენტები აგვისტოს 17 რიცხვამდის უნდა წარადგინონ.

— ქუთაისის სათავად-მამულო ბანკის, თბილისის განყოფილების კასირის გიქკევამ და ფულის გატაცებამ, მთავარი გამგეობა მეტათ ააშფოთა. კასირზე ბ. ლეონტიევზე ეჭვი უწინაც ჰქონიათ. ამ ერთი წლის წინათ მას გაეფლანგა 700 მანეთი

რომელიც ბინკის რწმუნებულთა საზოგადო კრებამ აპატია.

## სახალხო მასწავლებელი სანდრო სვანიძე.

ოთხშაბათს, ხუთ აგვისტოს, სოფ. საყულიაში სამშობლო მიწას მიაბარეს ცხედარი სახალხო მასწავლებლის ანდრია ზაქარიას ძის სვანიძისა. განსვენებული 20 წლის განმავლობაში უკანასკნელ დღემდე ასრულებდა სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას თავის სოფელში, რამდენათაც შეეძლო და უნარი შესწევდა, ერთგულათ და პატიოსნად. ამ ხნის განმავლობაში, როგორც საზოგადოთ სახალხო მასწავლებელს, მას ბევრი უსიამოვნება, მწუხარება, უმადურობა, და მადლობის მაგიერ დაუმსახურებელი საყვედური გამოუცდია ამ ეკლიანს გზაზე სვლით, მაგრამ მას მაინც არუღალატნია ერთხელ არჩეულ მიზნისათვის და გულწრფელად განაგრძობდა მუშაობას სახალხო განათლება ყანაში, გამსჭვალული და გამხნევებული იმ რწმენით, რომ ის ემსახურებოდა თავის სამშობლოში წმინდა საქმეს. ოცი წელიწადი მას რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში რომ გაეტარებია, მაღლა ავიდოდა უფრო, როგორც ჯამაგირით, ისე ჩინ ორდენებით, კიდევაც შეეძლო ეს მოეხერხებია, რადგან ყოველი მხრით გარემოებაც ხელს უწყობდა, მაგრამ მან ყველივე ამას ამჯობინა სახალხო მასწავლებლის ასპარეზზე შრომა და კიდევაც გამოირჩია ნარეკლით მოფენილს გზაზე მოღვაწეობა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ის ავადმყოფობდა გულზე ქოშინით (АСТМА), სკოლაში მაინც მაცადინობას თავს არ ანებებდა; ხშირად იტყოდა ხოლმე: „თავისუფლება, რომ ვითხოვო და ლოგინში ჩავწვე, მოსწავლეები გამიცდებიანო“ ბოლოს თუმცა ექიმობდა, მაგრამ ველარ უშველა თავს და უწყალო სიკვდილმა გამოასალმა წუთისოფელს უდროოდ. განსვენებული იგი 48 წლისა იყო; შეეძლო ჯერ კიდევ 10-12 წელიწადს ემასწავლებლა და პატარა ნაყოფი მოეტანა თავისი მეზობლისათვის. დარჩა ცოლი და ოთხი მცირე წლოვანი შვილი. დაკრძალვის დღეს ცხედარი თავისი სახლიდან გამოასვენეს ქუთათურმა სახალხო მასწავლებლებმა და მიაცილეს სამარის კარამდე. წესის აგების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს მასწავლებლებმა ვლ. ნაცვლიშვილმა, სტ. სანებლიძემ და ნ. გოქსაძემ, დაბოლოს გრძნობიერი გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა

# ს ი მ ღ ე რ ა.

(ძღ. მელიტონ ჩეჩელაშვილს).

მწვანით მოსილ ურალის მთებს მკერდს უსერავს რკინის გზები;
მიჰქრის ,მიჰქრის ორთლქმავალი მატარებელს მეც მივყვები;
თვალს ვადევნებ მწვანით მოსილს მოშრიალე არე მარეს,
ფიჭვ ნაძვ ნართა ბუჯგუტ ფოთლებს დავლილინებ სევდას მწარეს...
და ნუ მკითხავთ, მეგობრებო, რად ვარ სევდით გამსჭვალული,
და იმედით რად არ მიცემს ახალგაზრდის სავსე გული!..
თქვენ არ იცით, თუ ჩემს გულში თუ რა არის თუ რა ხდება,
ვინ გაიგებს სულის სიღრმეს, რაც მე მტანჯავს, ვინ მიხვდება.
ნუ მაყვედრით, რომ მე მხოლოდ სევდის ფიქრით ვიკვებები;
ნუ გგონიათ, რომ მე მარტო ემაგ სევდით ვისაზღვრები.
თქვენ არ იცით, რომ ეგ სევდა გულში ჰფარავს ძლიერ ცეცხლსა;
ის ცეცხლი სწვავს ჩემი სულის სამეუფო—სარეცელსა;
რაც დრო გადის ცეცხლი იგი იზრდება და ძლიერდება,
მთლად იტაცებს ჩემს არსებას—სულს და სხეულს მთლად ედება:
მოვა დრო და იგი ცეცხლი გადაქელავს ჩემსა სხეულს —
რაც მე მტანჯავს ბოროტება ვნახავ ფერფლად გადაქცეულს!..
სული ჩემი განიკურნვის ცეცხლის ალში განაწრთობი,
და გახდება შვების ჰანგის შემქნელი და წარმომშობი;..
მაშ, თუ ასე, მეგობრებო, ნუ მაყვედრით სევდით კვებას,
ნუ მაყვედრით, რომ მე დღესვე ვერ ვუმღერი შუქ-მფენ შვებას,
რა უყოთ, რომ თვილნი ჩემნი მწუხარების ცრემლსა ღვრიან,
სამაგიეროდ ჩემს სხეულში უარყოფის ცეცხლსა ჰქმნიან!..
მწვანით მოსილ ურალის მთებს მკერდს უსერავს რკინის გზები;
მიჰქრის მიჰქრის ორთქლმავალი მატარებელს მეც მივყვები;
თვალს ვადევნებ მწვანე მთებით შეზავებულ არე მარეს,
ფიჭვ ნაძვ ნართა ბუჯგუტ-ფოთლებს დავლილინებ სევდას მწარეს.

ქ. ეკატერინებურგი, 13 ივლისი 1915 წ. ს. ურუშაძე.

განსვენებულს ერთმა მის ნამოწაფეთაგანმა.

ამხანაგო სანდრო! 20 წლის განმავლობაში სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობით დაქანცულმა, აწ განისვენე ცივ სამარეში. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

ლადო ბზვანელი.
7 აგვისტო.

# პასუხი

ჩვენ შეკითხვაზე: დათხოვნილი იყო ბ-ნი ცინცაძე გიმნაზიიდან, თუ თავის ნებით წამოვიდაო—რედაქციამ შემდეგი პასუხი მიიღო გორის სავაჟო გიმნაზიის დირექტორისაგან:

**მოწყალეო ხელმწიფევ, იაკობ თომას ძევ!**

პასუხათ გაზეთ „სამშობლოში“ დასტამბულ თქვენის შეკითხვისა, უნდა გავუწყოთ, რომ პირადად მე დიდის პატივისცემით გეპყრობოდით, ვინაიდან თქვენ გიყვართ თქვენდამი მონდობილი საქმე.

მე მინდოდა კვლავ დარჩენილიყავით გორის გიმნაზიაში, მაგრამ საშუალება არა მქონდა. რომ ნივთიერად დამეკმაყოფილებინეთ.

თქვენ იშოვეთ პედაგოგის ადგილი ქართველთა შორის, (საგუბერნიო ქალაქში) უკეთესად მოეწყვეთ ნივთიერად, რამაც მე გამახარა და რა საბუთი მქონდა მცირე ჯამაგირზე დამეკავებინეთ ქ. გორში?

თქვენ აქ იყავით რედაქტორათ გაზეთისა და ეწეოდით ვექილობასაც, მაგრამ გიმნაზიის საქმეს მაინც ფრიად კეთილსინდისიერად ექცეოდით: ემზადებოდით გაკვეთილებისათვის და **გაკვეთილებიც ძლიერ იშვიათად გამოგიტოვებიათ.**

მე ხშირად ვესწრებოდი ხოლმე თქვენს გაკვეთილებს—(რაც შემიძლია დავამტკიცო დოკუმენტებით—გარდა ამისა, თუ გახსოვთ, ჩემი კაბინეტი ისეთ ადგილასა და ისე არის მოწყობილი, რომ ნათლად ვხედავ ხოლმე, რაცა ხდება ზოგიერთ კლასში) და ვამტკიცებ, რომ ბავშვები დიდის გულმოდგინეობით ისმენდენ თქვენს გაკვეთილებს და არაოდესაც არ დამჭირვებია მეზრუნა ქართულ გაკვეთილებზე კლასში წესიერების აღდგენაზე.*)

30 ივლისი, 1915 წ. ქ. გორი.

დირექტორი გორის სავაჟო გიმნაზიისა
**მ. ზაალოვი**

*) რუსულად მოწერილი დედანი რედაქციაში ინახება.

P. S. ამის შემდეგ განა ნება აქვს ბ-ნ ოცხელს მიკიჟინოს: „შენ მოვალეობას არ ასრულებდიო?“ ბ-ნი ზაალოვი ცნობილია, როგორც მეუყათი, მცოდნე, სამართლიანი და გამოცდილი დირექტორი და მისი ასეთი მოწმობა ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე შურისძიებითა და თავის გამართლებით გაბოროტებული ი. ოცხელის დაუფიქრებელი წამოძახილი: „ი. ცინცაძე გორის სასწავლებლიდან დაითხოვესო“...

ზრდილობა და ადამიანობა მოითხოვს, რომ ბ-ნმა ოცხელმა უკანვე წაიღოს თავისი სიტყვები, მაგრამ გამოიჩენს კი ამდენ მოქალაქობრივ გამბედაობას?!

ი. ცინცაძე.

## ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

ღრმად შეგვაწუხა სახალხო მასწავლებლის ანდრია ზაქარიასძის სვანიძის უდროოდ გარდაცვალებამ; განსვენებული ოცი წლის განმავლობაში პატიოსნად ეწეოდა თავის სამშობლო სოფ. საყულიაში სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას.—ვუცხადებთ თანაგრძნობას იმის დაობლებულ ცოლშვილს.

ქუთაისელი სახალხო მასწავლებლების მონდობილობით ლ. ბ—ლი.

# დაბა-სოფელი.

სოფ. კორბოული (ზემო იმერეთი). კორბოულის საკრედიტო გამგეობის თავჯდომარისა და ადგილობრივ სამკითხველო გამგის მღვდლის ვლადიმერ მაჭარაშვილის მიერ, აუარებელი ხალხის თანდასწრებით, ადგილობრივ ღვთის მშობლის ეკლესიაში, 2 აგვისტოს, შესრულებულ იქნა დიდებული მამულიშვილის, მგოსნის ვაჟა ფშაველას (ლუკა რაზიკაშვილის) სულის მოსახსენებლათ წირვა, ხოლო წირვის შემდეგ პანაშვიდი, რის შემდეგაც ამავე ღვდელმა ვრცლათ გააცნო დამსწრე საზოგადოებას განსვენებულის დიადი ღვაწლი სამშობლოს ლიტერატურასა და პოეზიაში. „საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.“ გალობის დროს ყველა დამსწრე. ერთბაშათ დაიჩოქა და შეავედრეს განსვენებულის სამშობლოსათვის დამაშვრალი სული ზეციერ მეუფეს.

— —

სოფელი ვანი. (ქუთ. მაზრა).

კვირას, 12 ივლისს, სოფ. ვანის წიგნთსაცავ სამკითხველოს სასრგებლოდ ადგილობრივ ინტელიგენციისა და სამკითხველოს გამგეობის მეთაურობით გაიმართა საღამო.

საღამო არ იყო მარტივი შინაარსისა. წინასწარ ადგილობრივ ახალგაზდა — სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო „ძუნწი“—კომედ. ორ მოქმედებიანი, შემდეგ კი გაიმართა საღამო.

ეზო, სადაც ადგილი ქონდა საღამოს, მშვენივრად იყო მორთული სხვადასხვა კიოსკით, ლოტერეიით და ჩირაღდნებით განათლებული.

უკრავდა ზურნა. საზოგადოება, რომელიც მრავალი დაესწრო საღამოს, გარდა ადგილობრივისა, იყო აგრეთვე სხვადასხვა სოფელ-დაბებიდანაც. განსაკუთრებით შეგნებულათ დაუხვდა ამ დიადი მიზნის საქმეს ადგილობრივი—ვანის საზოგადოება, რომელმაც საღამოზე პირადათ დასწრების გარდა, კეთილი ინება და ფულად თუ ნივთიერად (უკანასკნელით ლოტერეია იყო გამართული) იქონია შემოწირულება.

აქვე მოგვყავს სიაც შემომწირველ პირთა: ქალბატონ სოფიო წულუკიძის ასულმა მიქელაძისამ — 5 მანეთი ფული და წიგნი—თხზულებანი დ. გურამიშვილისა, ნ. ბაქრაძის ასულმა ორი სურათი: ილ. ჭავჭავაძისე და აკ. წერეთლის თავის ჩარჩოებში, ჰკიდია საკითხველოში, ნ. მათფეევმა (ვანის ბოქაული) 1 მანეთი ფული და ლო[...] მაშველი ყუთი, ვერა [...] ძიმეშიანი, დ. ხელაძის ასულმა პირსახოცი ხელით ნაკეთები, მ. ხელიძემ სურათი სკედლე. რიფსიმე ხვინგიას ასულმა ჰალსტუკი, ვ. ბიბილეიშვილმა ყაზბეგის თხზულებანი, ვ. ბაქრაძემ თიკანი, ა. აბრამიძემ კოლოფი კანფეტი, ი. კაშიამ საპონი, ა. ხახანაშვილმა 3 ადლი ჩითი, გ. ჩახუნაშვილმა ორი პაპიროსი, 1 პარ. და 1 საპონი, შალომა, მიხეილ, ეფრემ და ი. ჩიკვაშვილებმა: პირველმა ორმა სამ-სამი ადლი ტილო, მესამემ სამი ადლი ჩითი, მეოთხემ—ოთხ-ნახევარი ადლი ჩითი, მ. რამიშვილმა ქუდი ი. თეთრუაშვილმა სამი ადლი ჩითი, ი. პაპიაშვილმა საშაქრე, ი. სანაძირაძემ საშაქრე, გ. კალანდაძემ საპონი და სარდინკა, დავით და მიხეილ პაპიაშვილებმა: 1—3 ადლი ჩითი, 2—X, ვ. გოგაძემ ჩაინიკი, მ. კანკაძემ პორტსიგარი და საპონი, ბ. რამიშვილმა საშაქრე, პარმენ, სპარიდონ, მათე დიასამიძეებმა: 1—პირსახოცი, 2—მარამო ფეხსაცმელისა, 3—საპონი, 4—პორტმონე და ქუდი, ა. გურგენიძემ 2 ჩაი, ა. მელქაძემ 3 ადლი ჩითი და 2 პაპიროსი, ბ. აბრამიძემ 2 ჭინჭილა, პ. აბრამიძემ, ი. მოჩჩილაძემ, ი. კორძაძემ, ე. შენგელიამ, ს. გიორგაძემ, გ. მორჩილაძემ, ი. ძავნიძემ, ა. არველაძემ, დ. მუავანაძემ, წუღები, ა. ინდჯიამ და კ. ნიკოლეიშვილმა დოქები, ევთ. ფხაკაძემ ბათინკები, ნ. შენგელიამ 1 ოდეკოლონი და ბადია, ფ. ფხაკაძემ მათრახი, ს. აბრამიძემ ფეხსაცმლის რეზინები, ი. აბრამიძემ 2 დუჟინი ფოლაქები, ი. მგალობლიშვილმა 3 შარფი.

საღამო ჩატარდა შედარებით კარგად. შემოსავალი ფულად დასტოვა 325 მ. კაპიკებით. მხოლოდ წმინდა შემოსავალი, დიდი ხარჯების გამო, გამგეობას დარჩა 140 მანეთამდე.

დასასრულ არ შეგვიძლია უღრმესი გულწრფელი მადლობა არ გამოუცხადოთ ყველა იმ პატივცემულ პირებთ, რომლებმაც პირადი დახმარებით ხელი შეუწყვეს ზემოხსენებულ საღამოს გამართვას: განსაკუთრებით თ. ერემია ჩიჯავაძეს, რომელმაც დიდი უნარი და ენერგია გამოიჩინა საღამოს მოწყობაში, ქნ ამინადარ მაღლაკელიძეს, დაგვითმო სახლი და ეზო უსასყიდლოთ, ვერა და ნინო ბაქრაძეებს, დაამზადეს მრავალი მასალები საღამოს გასამშვენებლათ.

ფენიქსი.

## ᲚᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

დანხნუთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ვ. მებუკეს და ქუთაისის სატუსაღოს დარაჯს ი. სულაკაძეს.

ბატონო ინსპექტორო ვალიკო და ციხის დარაჯო სულაკაძევ! თქვენ, ამა 1915 წ. 19 ივლისს, რაღაც მანქანებით, საგანგებოთ შეკავებულ ჩემი ეზოდან გინახავთ უცბათ გადმოსული სამი ღორი მოსაზღვრის სრულიად შეულახავ ბ. ლეჟავას ყანაში,—რასაც ბუნებისგან უგუნურებით დაჯილდოვებულ ცხოველთაგან შედეგათ მოყვა 19 ძირი სიმინდის გაფუჭება, ხოლო, პირველის თქვენგანის, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის მებუკის მხრივ მისივე სიდედრის, თეო ჭეიშვილის წაქეზებით, რევოლვერისგან გასროლილი ტყვიით განგმირვა საუკეთესო ჯიშის ბურაკისა და მეორის (ციხის დარაჯის სულაკაძისაგან) ბარბაროსულათ ნაჯახით დაჩეხვა დედა ღორისა. საერთოდ, თქვენი ასეთი მოქმედება მე მიმაჩნია წრეს გადასულ უსამართლოებათ და, თუმცა, ძნელია ისეთ ადამიანებთან კულტურული საშვალებით პასუხის მოთხოვნა, რომელთაც რევოლვერითა და ნაჯახით პირუტყვთა ხოცვა ხელობათ გაუხდიათ, მაგრამ არ მინდა გადავსცდე მეზობლურ თავაზიანობის რიგს:— გიწვევთ სამედიატო-

ქართველი ერი, რომელიც ერთი უძველესი ერთაგანია, ერი, რომელსაც აქვს მდიდარი ისტორიით. კულტურა, მწერლობა; ერი, რომელმაც ათასნაირს გაჭირებას გაუძლო; ერი, რომელიც არსებობდა რამდენიმე საუკუნოებით დევნასა და შევიწროებაში და რკინასავით გამოჭედიზია ცხოვრებაში; ერი, რომელმაც აღზარდა მსოფლიო გენიოსი რუსთაველი; ერი, რომელსაც აქვს ცოცხალი სამშობლო, რასაც ტკბილად უგალობდენ მისი მრავალი პოეტები; ერი, რომელსაც ჰყავს შედგარი დარაჯნი ილია და აკაკი არასოდეს არ გადაგვარდება. არ გადაგვარდება არა იმიტომ, რომ ის პოლიტიკურად მაგარია, არამედ იმიტომ რომ იგი ძლიერ განსხვავდება სხვა ერებისაგან თავისებურობით. ქართველობა გადაგვარების გზაზეაო, გაიძახიან ურაპატრიოტებში. ნეტავ ვინარის ქართველობა? მგონი, ბალახი ფასათ მასა უნდა იყვეს და მათში გაიაცვალების იოტის ოტენა საბუთსაც ვერ ნახავთ.

მაშ, თუ არ გადაგვარებით რა აწუხებს საქართველოს, რაც უნდა ისა ჰქნას ადვირ-წახსნილმა მოხელემ, ჩვენ ხომ ვერაფერს დაგვაკლებს, ჩვენი ერი მაინც მთელი დარჩება; როცა იქნება, თვითონ აღმოიფხვრება ჩვენს სკოლებში უნიადაგო პოლიტიკის წარმოებაც—შემოძახების მტირალა „პატრიოტი“. სრულიად მართალია—საქართველოს გადაგვარებისთვის ენერგიის დახარჯვა ფუჭად ჩაივლის. ქართველები ქართველამდე დარჩებიან, რა ხერხსაც არ უნდა მიმართონ. მაგრამ მოხელეების უსაფუძლო საქციელი აფერხებს მოზარდი თაობის განვითარებას, რაც ერის კულტურულსა და ეკონომიურ ზრდას ხელს უშლის, აი—სწორედ ამიტომ არის, რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი გულმოდგინეთ აკრიტიკებს ანტი პედაგოგების საქციელს.

ქართველი ერის ცხოვრება დღევანდელს მომენტს; ჩვენი ეკონომიური პირობები მტკიცეთ შეჯაჭულია რუსეთის პირობებთან; საქართველოს სოციალური მოგომარეობა ჩახლართულია რუსეთთან. არის იმსთანა საკითხებიც, რომლებიც წმინდა ეროვნულია, მაგრამ იმსთანების რიცხვიც უმწვერვალესამდე აღწევს, რომლებიც ერთს მთელს წარმოადგენენ რუსეთთან. ჩვენ და რუსები ერთს სახელმწიფოში ვცხოვრობთ. ამ სახელმწიფოს ჭირსა და ლხინს ერთნაირად ვიზიარებთ ორივე: თუ ზარალი ნახა სახელმწიფომ, მისი ანაზღაურება, როგორც რუსის ხალხს, ისე ქართველებსაც გვეკითხება; თუ რომიანობამ იფეთქა, როგორც რუსის ახალგაზრდობას ისე ჩვენს ჯან-ღონით სავე ახალ-თაობასაც გადააქვს თავის კისერზე მისგან გამოწვეული უბედურება და ასე დაუსრულებლივ—რაღაც ერთს აწუხებს, ხშირად მეორესაც იგივე აწევს გულზე მძიმე ლოდად და ამიტომ მათთან შეთანხმებული მუშაობა მიუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს ქართველებისთვის. ამას გარდა სასამართლო, ფოსტა, ტელეგრაფი, საშუალო და დასაწყისი სკოლები და ხშირად ლოცვებიც რუსულ ენაზე გვაქვს; ჩვენ ხალხს უხდება რუსული ლუკმა პურის საძებრად რუსეთის ქალაქებში და ამიტომ რუსული ენის მოწესრიგებას ჩვენს სკოლებში ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სჩანს, რუსული ენის სწავლა ქართველებისათვის საჭიროა, მაგრამ საქმე იმაშია—რაფარგლებში უნდა სწარმოებდეს იგი.

ნარქანი.

შემდეგი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სამართალში ამ პირობით, რომ ტყუ-არმა მხარემ—ლულაძისეულ მინდორში ახლათ გასახსნელ სამკითხველოს სასარგებლოთ გადიხადოს ოცი მანათი. ჩემის მხრით შუამავლად ვნიშნავ დიონის ვარდოსანიძეს და სამსონ ქებულაძეს. ამ წინადადების თანხმობის მოსმენის ვადას ვსაზღვრავ ორი კვირით. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მივმართო ოფიციალურ სასამართლოს.

**ივ. კილაძე.**

## აუცილებელი და იძულებითი

### პასუხი ი. ოცხელს.

რაკი ბატონმა ი. ოცხელმა და ბატონმა ვ. წერეთელმა საკუთარი გაზეთი გაიჩინეს, აღარ ისვენებენ და ყოველ ნომერში თავის გაზეთისა, ისეთ იკლიკანტურებს სწერენ, რომ გაჩუმება შეუძლებელია. ამიტომ მკითხველს ვსთხოვ მაპატიოს შეწუხებისათვის. ეს იქნება ჩემი უკანასკნელი პასუხი.

ი. ოცხელმა დასწერა: შიო მღვიმელს **წინდაწინვე** მივეცი ოთხასი თუ ხუთასი მანეთი და მისი თხზულებანი კი ჯერაც გამოუცემელნი მაქვსო.

მე კი იმავე შიოს წერილებით დავუმტკიცე, რომ ი. ოცხელი სტყუის წინდაწინ ამდენი ფული არ მიუცია, ხოლო, ვიდრე ამ 400 მანათს მისცემდა, ოთხას ჯერ გააკრა ჯვარზე, ოთხასჯერ აკოცნინა ფეხებზე და **დღესაც სამას მანეთამდე მიუცემელი აქვს,** თუმცა მათ შორის დადებულ ხელშეკრულობას ვადა დიდიხანია წაუვიდა-მეთქი.

მე არასოდეს არ მითქვამს, ოცხელს ფული არ მიუცია-მეთქი შიოსათვის. მაგრამ ჯერ ერთი **წინდაწინ** არ მიუცია და მეორეც-მიცემაც არის და მიცემაც!..

ქართველ მწერალს ერთადერთი სალსარი ჰქონდეს ცხოვრებისა და ამ სალსარსაც თავის პირად ანგარიშებისათვის ბეწო-ბეწო აძლევდეს შეძლებული მოვალე ამ სალსარის გაღებისა, ყოველს შესმენილ ადამიანს, დანაშაულებათ თუ არა, ამპიროვნების დამახასიათებლად მაინც ეჩვენება და მეც სწორედ ბ-ნ ოცხელის ეს საქციელი დავანახე მკითხველ საზოგადოებას. ბ-ნი ოცხელი კი პირიდან ცეცხლებსა ჰყრის და თავის ცოდვებს მე მახვევს თავზე.

ბ-ნი ოცხელი რომ მართალი არ არის, მოვიყვან ერთ ადგილს ოცხელისაგან ბნ შიოსადმი მიწერილ წერილიდანაც:

**25 ივლისი, 1915 წ.**

„ბ. შიო! მოვდივარ თფილისს. ორშაბათს და სამშაბათს მაქ (!) ვიქნები. თუ მნახავთ, ფულს გადმოგცემთ. ძლიერ ვწუხვარ, რომ ასე გაგაწვალეთ და სხვა...*)

აბა, ჩაუკვირდით ამ ამონაწერს, თუ ფულის გადახდის მსურველს დაინახავთ!

კაცი იქიდან სწერდა „ფეხსაცმელები არ მაცვია, გარედ ვერ გამოვდივარ, მომაწოდეთ ჩემი ოხერი კუთვნილიო და ეს კი აქედან ბატონკაცურად უთვლის:

...„ მაქ ვიქნები, თუ მნახავთ, ფულს გადმოგცემთო“...

ჯერ ერთი, სად უნდა ენახა ბ-ნი ოცხელი? „მაქ“ ისეთი ადრესია, რომ მაძებარი პოლიციაც ვერ მიაგნებს და მეორეც ერთი, თუ კაცის წვალება არ უნდოდა, რატომ „აქ“ არ მისცა ფოსტაში და თავის დროზე არ გაუგზავნა? მაგრამ ძმათა ოცხელების მაღაზია „რა ქსავაჭრო იქნებოდა, თუ სხვისი ფული არ დააბანდა, ორჯერ-სამჯერ არ გადაატრიალა და ას მანეთს ასი მანეთი არ მოაგებინა...

„ვინ რა იცის, რომ სადღაც მუშა ჰკვნესის“. სხვის ტანჯვის გამოსათქმელად მხოლოდ ჩვენი მწერალ-პოეტები არსებობენ... ოცხელებს კი ყოველთვის მზათა აქვთ სანუგეშებელი სიტყვები:

„ძლიერ ვწუხვარ, რომ ასე გაგაწვალეთო!

გაძღა მშიერი მწერლის ოჯახი და გამოკეთდა მშრომელი კაცის წამხდარი საქმე, რაღა! ეჰ, ანკი რა სთქვას კაცმა...

*) ნუ დაივიწყებთ, რომ ხელწერილს მათს შორის შარშან დეკემბერში გაუვიდა ვადა. ფული შვიდას მანათამდე შიოს დეკემბრამდე უნდა მიეღო, მაგრამ, როგორც თვით ოცხელის წერილიდან სჩანს, დღევანდლამდე 400 მანათის მეტი არ მიუცია და ისიც წვრილ წვრილათ. ამ გვარათ, ოცხელმა პირობები უკვე დაარღვია. პირობის დამრღვევმა მხარემ კი უნდა გადაიხადოს 600 მანათის ჯარიმა. ვნახოთ, გადაუხდის თუ არა ბ-ნი ოცხელი ამ ჯარიმას! თუ ბ. ოცხელმა ყველაფერი თავის დროზე გადაიხადა, რაღათ სწერს შიოს ზემო მოყვანილ წერილს 1915 წ. ივლისში?

მეც სწორედ ასე გამაწვალა ბ-ნმა ოცხელმა. მთელი წელიწადი დაპირებებით მკვება, ტკბილი სიტყვით მომთინთლა და იმ აუტანელ შრომის ჯილდოთ, რომელსაც მე ვეწეოდი—600—700 მანათიმომიჭრა ჯამაგირიდან და არც სარედაქციო კოლეგია მაძლევდა რასმე. ახლა კი გამომდგარა და საქვეყნოთ გაიძახის: ცინცაძე იმისთანა კაცია, რომ ვალებს თავისი ნებით არ იხდისო“.

მერე ვინ დამაცალა „ვალების ჩემის ნებით“ გადახდა? სხვა მოვალეებთან ერთად თვით ბ-ნი ოცხელი ქორივით დააცხრებოდა ხოლმე ჩემს ჯამაგირს და „ხან თავისი ძმების“ მაღაზიის ვალს მიჰქონდა და ხან რედაქციისას. (თითქოს მე კოლეგიის მუქთა მოსამსახურე ვყოფილიყავ)!

ან საიდან უნდა გადავიხადო ეს ვალები, თუ კი ყველა მუქთად მიმსახურებს? დირექტორი მე არ ვარ, რომ თვეში 500—600 მანეთს ვიღებდე, მაღაზია მე არა მაქვს, რომ რვა აბაზიანი ოზმა ქაღალდი შვიდ მანეთად გავყიდო, და 129 ათას მანეთს წელიწადში არ ვატრიალებ, რომ ხელი მოვინაცვლო ხოლმე.

ოცხელს არაფერი ეს არ აკლია, მაგრამ, როგორც ხედავთ, 600—700 მანათიც კი ვერ გადაუხდია თავის დროზე. მაშ, მე რას მიკიჟინებთ? მე ვმუშაობდი კოლეგიის რედაქციაში, ვმუშაობდი ქართულ გიმნაზიაში და იმდენი კი არ მომცეს, რომ ჩემი აჯამი მოვალეები მაინც მომეშორებინა. რა ჰქვიან მათ ასეთს საქციელს, თუ არა ყალბი პატრიოტობა და ექსპლოატაცია...*)

როგორღა იღებთ ხმას, ბატონო ოცხელო! მდიდარი და დირექტორი რომ ხართ, განა იმიტომ უნდა აფათუროთ სხვის სახლში თქვენი ხელები?

თქვენ თუ 16 წელიწადი დირექტორობთ და წელიწადში 5000—6000 მანათს იღებთ, მე ოცდა სამი წელიწადი თითქმის მუქთად ვმუშაობ მწერლობაში—და ნუ თუ თქვენი ჯამაგირის მესამედი მაინც არ მეკუთვნოდა?

სად არის, სად, აქ სამართალი?

მაგრამ მარტო თქვენ ხომ არა ხართ უსამართლო. უსამართლოა ბევრი თქვენისთანაც და დღე, იხარხარონ, ვიდრე სამართლიანი მოთხოვნილება გამოფხიზლებული მშრომელი ხალხისა პირში ბურთს არ ჩასჭრის ყალბ „მესვეურებს“ დღევანდელ ჩვენ უკუღმართ ცხოვრებისას!...

რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომ „ფულები ავიღე, შევჭამე და მეორე ტომს ჩემის თხზულებისას კი არა ვბეჭდავ“—ამისთანა ბრალდებას მხოლოდ ბოროტი და უკეთური კაცი თუ გამოიგონებს, იმ პირობებში, რა პირობებშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით...

იქნება დიდი არა იყოს რა ჩემი ნაწერები, მაგრამ დღეს რომ დაიბეჭდოს, ცენზურა გაანახევრებს. ეს კიდეც გამოვამცხადე, მაგრამ ი. ოცხელს, როგორც გალაღებულსა და მხიარულ კაცს, სასაცილოთაც არ ეყო.

ბ-ნმა ოცხელმა წერა მაშინ ისწავლა, როცა თავისი საკუთარი ორგანო გაიჩინა შეწევნითა და მიწყალებითა ბ-ნ ვასილ წერეთლისათა, და მე კი დიდი ხანია ვიცნობ ცენზორებსა და ცენზურას,—და არ მინდა დამახინჯდეს ჩემი ნაწერები. ეს ერთი. მეორეც,—არ ვიცი, რომელი ჭკუათა მყოფელი ადამიანი მისაყვედურებს ამ ქაღალდის სიძვირეში წიგნი რატომ არ გამოეციო. წიგნი ხელის მოწერით ღირს მანათი, მისი დღეს გამოცემა კი დამიჯდება ორი მანათი.

თუ „ძმათა ოცხელებას“ მაღაზიაში ისეთი ბრძნები სხედან, რომ მანათზე სამი მანათის მოგება უნდათ, არც მე მინდა ვიყო იმდენათ სულელი, რომ მანათზე მანათი წავაგო... ან ვისა აქვს ნება მომთხოვოს ასეთი სისულელის ჩადენა!

ჩემი მეორე ტომი სულ სამას კაცს აქვს გამოწერილი, გამოწერილი აქვთ იმათ, ვისაც ვწამვარ და მენდობა, ხოლო თუ ამ სამასში ვისმეს ეჭვი დაუბადა ოცხელის „ბრალდებამ“, შემატყობინოს

*) მკითხველს მართლა არ ეგონოს—ვითომც ათასობით მემართოს! სულ რაღაც გროშებია ჩემ მდგომარეობასთან შედარებით, მაგრამ ისე გამძუნწდენ და გაქვავდენ ჩემი ბატონები, რომ შეძლება არ მომცეს პირნათლად გამოვსულიყავ. მეც „ძლიერ ვწუხვარ, რომ ასე გავაწვალე“ ჩემი მოვალეები, მაგრამ, როგორცა ხედავთ, ბ-ნი ოცხელის წუხილი საბოდიშო ყოფილა და ჩემი წუხილი—კი გასაბიაბრუებელი!... მახლას, ბ-ნო ოცხელო, სომხისა არ იყოს!

და მივართმევ თავის მანათს სარგებლით.

ეს არის ჩემი უკანასკნელი განცხადება ამ საქმის შესახებ...*)

არის კიდევ ერთი ბრალდება—და მძიმე ბრალდებაც—რომელიც არ შემიძლია არ გავაბათილო.

ბ-ნმა ოცხელმა თავის ყვითელ-პრესის პირველ ნომერში და იმ გრძელ წერილში, რომელმაც იგი თვითვე გაამათრახა, ვითომდა, სხვათა შორის, მაგრამ სრულის ბოროტის განზრახვით წამოისროლა ისეთი უმგვანობა, რომელმაც მხოლოდ მის ყმებს მისცა ზედმეტი მასალა ყბედობისითვის.

„ი. ცინცაძემ 300 მანეთი გამოართვა დათეშიძესაო“. ამითი რასიკვირველია, აგრძნობინა მკითხველს, რომ მე მისყიდული ვიყავ, როცა დათეშიძეს არჩევნების დროს მხარს ვუჭერდი!...

[უსირცხვილობა და ბოროტ-განზრახულება ზოგიერთა ვითომდა ადამიანისა ამაზე შორს ვეღარ წავა!...

ჯერ, ერთი ბ-ნ დათეშიძეს მხარი დავუჭირე კოლეგიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. (ეკითხოს ტრ. ჯაფარიძეს, სამსონ ყიფიანს, ბესარიონ ჯაიანს და თვით ბატონ ოცხელს) მეორეც ერთი, მე ბ-ნ დათეშიძისაგან ფული ვისესხე რედაქციისათვის იმ დროს, როცა არჩევანი დიდიხნის გათავებული და დაიწყებულიც იყო და, როცა სამსონ ყიფიანი და თვით ოცხელი მოელაპარაკნენ ბ-ნ დათეშიძეს ახალი კოლეგიის შედგენის შესახებ. (ვიმოწმებ ბ-ნ ყიფიანს) ეს მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდა, მაგრამ, რაკი იმ ხანებში პირველი წერილი დავსწერე ოცხელების მაღაზიის წინააღმდეგ—ი. ოცხელი გაცეცხლდა და გამებუტა, სამსონ ყიფიანი ქკვიანურად მოერიდა ყველა უსიამოვნებას და სოფელში წავიდა, დავრჩი მარტო მე და, რადგან ბ-ნმა დათეშიძემ უკვე იცოდა რედაქციის გარემოება, ხელი გამიმართა. ან რითია ბ-ნი დათეშიძე თქვენზე ნაკლები? თუ კი თქვენი ფულით მოვინაცვლებდი ხელს, დათეშიძის ფულს „იარლიკი“ არა აქვს, თუ რა ამბავია? ეს ერთი. მეორეც—თუ კი თქვენ ვერ მომისყიდეთ ორი წლის განმავლობაში, როგორ მომისყიდდა ბ-ნი დათეშიძე, რომელსაც სრულებითაც არ ვიცნობდი და არც არავითარი დამოკიდებულება მქონია. ეს თქვენ კარგად იცით, ბ-ნო ოცხელო და სწორედ ისა მწყინს და თან ის მაკვირვებს, რომ თქვენ კადნიერდებით და ავრცელებთ დედაბრულ ლათაიებს იმ დროს, როცა ყოველივე ჩემი ნაბიჯი იცით და იცით ისიც, თუ რა აზრისა ვარ და რის გაკეთებაც შემიძლია.*)

დღეს უკვე არსებობს ახალი და ბევრად უფრო ძლიერი კოლეგია და ბ-ნ დათეშიძისაგან აღებული ფულიც რედაქციის დავთრებში სწერია, რომელი ვალის გადახდაც თავს იდვა ამ კოლეგიამ.

ვიმეორებ, ამის შემდეგ მხოლოდ ბოროტი სული თუ შემოიტანდა ეჭვს, თორემ პატიოსან კაცს აზრათაც არ მოუვიდოდა რაიმე ბრალდება.

ვისმე და რამეს ჩემი მოსყიდვა რო შეეძლოს, დავით ოცხელის დასაცინიც არ გავხდებოდი და დღეს იმდენი ფული მექნებოდა, რომ მთელ მის მაღაზიას ვიყიდდი და მუქთად დავურიგებდი მოწაფეებს, რომ მოსპობილიყო ისეთი დაწესებულება, საიდანაც ბოროტი სიტყვისა და მოქმედების მეტი არა გამოდის რა...

ამით ვათავებ ყოველივე კამათს ბ-ნ ოცხელებთან, ვიდრე არ შევხვდები მათ, ან სასკოლო კომიტეტის სხდომაზე და ან სასამართლოში... მეტი გზა არ არის! არიან ისეთები, რომელთა თავზედაც ისევე არ წაიკითხების სახარება, როგორც მგლის თავზე.

**ი. ცინცაძე.**

*) ბ. რ. დათეშიძე 1912—13 წლებში „ერის“ რედაქციასაც დაეხმარა 1500 მანეთამდი, რაც ამტკიცებს მის სიყვარულს ქართულ ლიტერატურისადმი და სხვა არაფერს.

*) „სახ. ფურცლის“ გუშინწინდელ ნომერში ვიღაც ერთი ხელის მომწერთაგანი მისაყვედურებს: შენ თურმე კერძო ვალებს იხდი და წიგნი კი არ გამოდისო“. ვაუწყებ ამ ვაჟბატონს: 1) მე „კერძო ვალები „არა მაქვს და არც ჩემის სიამოვნებისათვის ამიღია ეს ვალი. ვალები დამატეხა თავზე ჯერ „ქართლის“ რედაქციამ და მერე ქუთაისში გადმოსვლამ, სადაც „სამშობლოსაც“ უნ და ჩემის ხელის წაშველებას. მაშასადამე, ასეთი ვალები არც კერძოა და არც დასაძრახისი. 2) თუ ჩემი განმარტებით არ დაკმაყოფილდება ეს ყმაწვილი თუ ქალბატონი, მაცნობოს თავისი. სახელი და გვარი და თავის მანათს გაუგზავნი იმავე „სახალხო ფურცლის“ დახმარებით. **ი. ც.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

24 მაისიდან თფილისში გამოდის ნაცვლად ჟურნალ „კლდისა“ ყოველ-დღიური გაზეთი

„საქართველო“

ფასი წლის დამლევამდე 5 მან. პირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.

ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მოიკითხეთ ყველგან

**ახალი ქართლი**

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ ხუთშაბათობით და კვირაობით

ცალკე ნუმერი ერთი შაური

| დაკვეთის ფასი: | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი“-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

**„განთიადი“-ზე**

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით. წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს—2 მან 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება: ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში: წ. კ. გ. საზ. მდივანთან, ბაქოში: ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში: კოწია გამყრელიძესთან, ბათომში: ხოსიკო მდივანთან, სოხუმში: ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში: თ. ის. მერაბ. დორქითვანიძესთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. РомануСпирид. Панцхава.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ურჟუმელაძეების სამკურნალო

**აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საშაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით თ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.

**სამკურნალო აბანო**

პ. ვ. ობოლაძის.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.